სამშობლო

ოთხშაბათი
23 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 317 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 317

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ. ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

25 მარტს, ქუთაისის ქართულ თეატრში გაიმართება

შიოს დილა.

მღვიმელის იუბილეს მომწყობი კომისია აუწყებს იმ პირთ და დაწესებულე-
, ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღონ, ჩაეწერონ ქუთ. ქალაქის ქალთა ორ-
ასიანი სასწავლებლის გამგესთან 24 მარტამდი, გენერლის ქუჩაზე. გამგის ნახვა შეიძლება 12—3 საათამდი.
ტიცია დანიშნულია 19 მარტს, ქალაქის თეატრში, საღ. 4 საათზე. ბილეთები გაიყიდება 19 მარტიდან თეატრის კასაში.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდლათ.

შიო მღვიმელის

რჩეული ლექსთა კრებული.

საიუბილეო გამოცემა კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა.

ფასი 5 შაური. 3—1

ბურახი (კვასი) ესპერანტო

ადუღებული წყლით, პურით და ხილეულობით მომზადებული, ანალიზ გაკეთებული, მარგებელი, სასიამოვნო სასმელი, იყიდება თფილისის ქუჩაზე ვლადიმერ წერეთლის სარდაფში. ერთი ლიმონათის და ნარზანის ბოთ. 7 კ., ბორჯომის ნახევარი ბოთლი 8 კ., ლუდის ბოთლი 10 კ., შამპანურის ბოთლი 12 კ., ბორჯომის ბოთლი 15 კაპ.,

ვინც ამ ბოთლებს ადგილობრივ გაახსნევინებს და მიირთმევს, ან თავის ბინაზე მიატანინებს ყველა ბოთლის ფასზე თითო კაპიკი მოემატება ფასი. კვასი შეინახეთ ცივათ, გაძლებს ათ დღეს და მეტსაც.

თუ კვასი ტკბილი და უგაზოა—შეაჩერეთ ერთ დღეს და დამაგრდება. ბურახი (კვასი) ერთნაირი კეთდება თუ უვარგისობით განსხვავება ნახოთ, ჩვენ მოსთხოვეთ მომტანს პასუხი, რადგან იარლიკიან ბოთლებში თურმე სხვებიც ამზადებენ ნამალევათ თავის ბურახი (კვასს).

პატივისცემით კვასის მწარმოებელთა
12—3 **გამგეობა.**

ს. ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

ვილეთ ცნობილი **აბრეშუმის თესლი**

ხ. ხრისტოდულიდის.

მართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.
დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

ითალი. **პ. ვ ნეურონოვი** ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ
ებს დილის 9—10 საათამდი და
ოს 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტ-
ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, სამ-
ხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

იმი **ი. ჩარიძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახ-
, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფე-
ების ახალ ბინაზე, დილით, 12 - საათ.
6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვი ქუჩა,
ალიბეგოვის სახლში. თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ
2 ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

კვირიდან, 20 მარტიდან, ნაჩვენები იქნება, მხოლოდ მოზრდილთათვის

გერმანელების დამარცხება შამპანში.

საყურადღებო ომის სურათი.

მოახლე ქალის დღიური.

ოჯახური ქრონიკიდან.

ფარული იარა.

6 ნაწილად, ოქტავ მირბოს რომანიდან.

ანონსი: პარასკევიდან, 25 მარტიდან ნაჩვენები იქნება **ნახევრათ ქალწული** კინო რომანი 4 ნაწილად, მაღალ წრეთა ცხოვრებიდან. ცნობილ ფრანგ მწერლის მარსელის რომანიდან. ლიდა მურომსკის მონაწილეობით.

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

კვირიდან, 20 მარტიდან, 1916 წ. ნაჩვენები იქნება

პატე ჟურნალი № 336. მიმდინარე ამბებიდან.

შენს გმირობას თაყვანსა ვსცემ.

ძლიერი დრამა 4 ნაწ. ცნობილ რუს მსახიობთა **ლისენკოსა** და **პანოვის** მონაწ.

პრენსი და მისი ლამაზი ფარეში.

ანონსი: პარასკევიდან, 25 მარტიდან **დასჭკნა ბაღში ხრიზანტემა**

ი. ი. მოზჟუხინის მონაწილეობით

ექიმი **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე,
11 სახლი № 2. თ.

ექიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №
14 46, ტელეფონი № 87. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ესპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ 3

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 21 მარტი. გერმანელები არტილერიის ცეცხლით ჰკვეთნენ იკსკულის სიმაგრეს, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. დვინსკზე და მის ჩრდილოეთით სროლაა. ზოგიერთ ადგილში მტრის გენერალ ევერტის ჯარი დიდ მოქმედებას იჩენდა. ბარანოვიჩზე იერიშის დროს გერმანელები მოწამლულ ტყვიებს ხმარობდენ. ლიახოვიჩის რაიონში 20 მარტს დილით გერმანელთა მრავალ რიცხოვანი ჯარი იერიშით წამოვიდა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. პოლესიის სამხრეთით გერმანელები იერიშებს იწყებდენ.

კავკასიის ასპარეზი.

ზღვის რაიონში ჩვენ დავატყვევეთ 100 ასკერი. ჭოროხის ხაზზე ჩვენ დავიკავეთ მაღლობები. ზღვის გაყოლებით ტყვეთ წამოვიყვანეთ ერთი რაზმი ოსმალო. სურბკარა-პეტოსკენ ოსმალთა დევნის დროს ჩვენ ხელთ ვიგდეთ ოსმალთა ურდოს ავეჯები მაჟის ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფელ შახუბანკთან ჩვენმა ნაწილებმა გაჰფანტა ოსმალთა რაზმი.

——

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მდგომარეობა რუსეთის ფრონტზე.

„რუსკი ინვალიდი“ სწერს: გერმანია და ავსტრია რუსეთის ფრონტის ფრთების საწინააღმდეგოთ ახლა დიდ მზადებაშია. საგაზაფხულო კამპანიას ისინი (გერმანელები) ალბათ რიგის ყურის გახსნისათანავე დაიწყებენ: როგორც კი წყალდიდობა დაცხრება, ე. ი. აპრილის შუა რიცხვებში. გერმანელებს ახლა გადმოჰყავთ თითქო ბელგიის ფრონტიდან, არა მარტო მაშველი ჯარები, არამედ მძიმე ზარბაზნებიც ბლომათ მოაქვთ; ამას გარდა ისინი სამხედრო ფლოტსაც ამზადებენ-ერთი ნაწილი ფლოტის უფრო წინა რიგზე მებრძოლი ხომალდები ლიბავისაკენ უკვე გამოაგზავნეს. ამავე დროს რუმინიის საზღვრებზეაც გამაგრებულ მზადებაში არიან. აქედან აშკარაა, რომ გერმანელები სერიოზულათ ემზადებიან, და ყოველ შემთხვევაში ჩრდილოეთის ფრთაზე თავდასხმას ფიქრობენ. რიგის ფრონტზე მაგალითად შლოკთან და იკსკიულთან ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ პოზიციები გაამაგრონ და არას გზით არ გაუშვან ხელიდან, ვინაიდან კარგათ იციან, რომ ამ პოზიციების დაკარგვით მათ მდ. დვინის მთელი ფრონტზე ბრძოლის ინიციატივა ხელიდან გაუსხლტებათ“.

მოკავშირეების ეკონომიური კონფერენცია.

15 მარტს გაიხსნა პარიზში მოკავშირეების ეკონომიური კონფერენცია; სხდომა გაიმართა გარეშე საქმეთა სამინისტროს დიდ დარბაზში, სადაც 1856 წელს კონგრესის სხდომები იმართებოდა. პირველი სხდომა ზოგიერთ სამხედრო საკითხს შეეხო. ამ მხრით კონფერენციის წევრები მოკავშირეთა გენერალურ შტაბების საერთო შეთანხმებული გეგმის მოწონებით დაკმაყოფილდენ და სტრატეგიისა და ტაქტიკის კითხვების გამორკვევას არ გაუდგენ. ამავე დღეს მთელი კრება შემდეგ კომისიებათ დანაწილდა; ეკონომიური და დიპლომატიური კომისია, რომელიც მოკავშირეთა ჯარებისათვის სამხედრო მასალის მიწოდების საკითხებს გაარკვევს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ დიპლომატიურ კომისიას, რომელშიც მოკავშირე სახელმწიფოების გარეშე საქმეთა მინისტრები შედიან.

ბალკანეთში.

როგორც სალონიკიდან დეპეშით იუწყებიან, ბულგარეთისა და გერმანიის ჯარები საბერძნეთის ტერიტორიაზე სიმაგრეებს მოურიდებლათ აგებენ და ისე იქცევიან, თითქო თავის საკუთარ მიწა-წყალზე მოქმედებდენ. საბერძნეთის ჯარი, როგორც კი მას ისინი უახლოვდებიან თავის ადგილს სტოვებს და მათ შორდება. ბულგარლებიცა და გერმანელებიც მდ. ვარდარის ნაპირებზე მაგრდებიან: პირველნი მარჯვენა ნაპირზე, ხოლო მეორენი მარცხენაზე.

— ბუქარესტიდან დეპეშით იუწყებიან რომ ბუკუნის ფრონტზე მომავალი შეტევის ნიადაგის მოსამზადებლათ რუსეთის ჯარმა არტილერიის ცეცხლით ავსტრიელთა სანგრები დაანგრია. ამ მოკლე დროში ჩერნოვიჩის დაცლას მოელიან. გუბერნატორმა უკვე განკარგულება გასცა, რომ არქივი დონვატრაში გადაიტანონ ჩერნოვიციაში პურის ნაკლებობაა. ამას წინად დნესტრის ნაპირებზე რუსეთის ჯარის გამარჯვებამ ძალიან დააშინა მცხოვრებნი. სალონიკის ფრონტზე მოკავშირეები შესაფერ მომენტს უცდიან და ამ მიზნით დიდი ოპერაციებისათვის ემზადებიან.

მსოფლიო ომი.

(დღიური)

მდგომარეობა საერთოთ იგივეა.

კავკასიისა და ოსმალეთ სპარსეთის ფრონტზე რუსეთის ჯარი ოსმალეთში სუფს კარაპეტის მონასტერთან გამარჯვების შემდეგ რამდენიმეთ კიდევ წინ წავიდა. ჭოროხის ხეობაში და შავი ზღვის პირათ საყურადღებო არაფერი მომხდარა სჩანს ტრაპიზონის მიმართულებით რუსეთის ჯარის წინსვლა შეჩერებულია.

რუსეთისა და ავსტრო გერმანიის ასპარეზზე გერმანიის ჯარმა კიდევ ერთი ახალი სამოქმედო რაიონი გაიჩინა: ეს არის ლიახოვიჩის რაიონი, რომელიც ბარანოვიჩის სამხრეთით 40-60 ვერსის მოშორებით მდებარეობს მდ შარაზე. ამ მდ. შარა. გადალახეს გერმანელებმა და თავს დაესხენ რუსეთის საყარაულოებს. რუსეთის ჯარმა აქ ისინი ხელჩართული ბრძოლით უკუაქცია. მხოლოდ არა სჩანს მდ შარიდან რამდენათ შორს არიან შეჰრილნი გერმანელნი. ეტყობა გერმანელები ჩრდილოეთიდან სამხრეთით ბრძოლის ხაზს თანდათან იმ მიზნით აგრძელებენ, რომ ბოლოს სამხრეთით თავმოყრილ ძალებს შეუერთდენ და მასთან ერთათ რუსეთის სამხრეთის ფრთის წინაალმდეგ მძლავრი შეტევა დაიწყონ და ამ ნაირათ კიევის მიმართულებით წინსვლა განაგრძონ. ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ პოლესიეს ჩრდილოეთით და სამხრეთითაც, როგორც უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბი იუწყება, გერმანელებმა ჰაეროპლანებიდან ადგილების და პოზიციების დაზვერვა გაახშირეს. სხვა რიგის რაიონში გერმანელებმა იკსკიულკის წინა სიმაგრეებზე გრიგალისებური ცეცხლის შემდეგ კვლავ მოიტანეს იერიში მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. დვინსკთან მხოლოთ თოფის სროლით დაკმაყოფილდენ. ვიძის და ტბა ნაროჩის რაიონებს დღეს შტაბის დეპეშა აღარ იხსენიებს. სჩანს იქ საპოზიციო ბრძოლა მკვიდრდება.

საფრანგეთ ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე ჩვეულებრივი პოზიციური ბრძოლაა. საყურადღებოა გერმანიის საჰაერო ესკადრის ინგლისის ნაპირებისაკენ გალაშქრება. კარგა ხანია გერმანელებიც იმუქრებოდენ ამას და ინგლისელებიც მოლოდინში იყვენ, რომ „ცეპელინების“ საშუალებით გერმანია ინგლისზე იერიშს მიიტანდა ალბათ ამის გამო იყო რომ ამას წინათ ხმა გაავრცელეს გერმანელები ინგლისის ნაპირებზე ჯარს გადასხმენო ნამდვილათ მოხდა შემდეგი ცეპელინების ორმა ესკადრამ 2 სხვადასხვა გზით გამგზავრებულმა 19 მარტის ღამეს ინგლისის ჩრდილო აღმოსავლეთის საგრაფოებს მოულოდნელათ თავს დაჰქროლა უზარმაზარმა საჰაერო გემებმა სხვადასხვა ადგილს მძიმე გამანადგურებელ-ამფეთქებელი ყუმბარები ბლომად ჩამოისროლეს: სულ ერთ ღამეს ორასამდე ყუმბარა აფეთქდა, რისგანაც 100 კაცი მოკვდა, ორასზე მეტი დაიჭრა დაინგრა და განადგურდა აგრეთვე 40—60-მდე შენობა. ასეთი ზარალი ჯერ არც ერთ საჰაერო შეტაკებაში არ მომხდარა. ამას აღიარებს თვით ინგლისის საზღვაო მთავრობა გერმანელების ორი თავდამსხმელ ესკადრიდან ინგლისელმა მფრინავებმა მხოლოდ ერთ ცეპელინის დაზიანება და ძირს ჩამოგდება მოახერხეს დაჭრილი ცეპელინი მდ. ტემზის შესართავთან ჩამოვარდა ზღვაში, შიგ მსხდომნი მფრინავი მეომრები ინგლისელებმა გადაარჩინეს და დაატყვევეს.

ვერდენთან ბრძოლა ძალიან ნელი ნაბიჯით მიდის. გერმანელებმა ახლა მთელი თავისი ძალღონე დუომონის სიმაგრეებზე გამოსცადეს, აქ ოთხჯერ მივიდენ იერიშით და როგორც იყო ერთ-პატარა ტყე ,,ლაკაიტი'' დაიკავეს და იქ გამაგრდენ; ისევ შეეცადენ აგრეთვე მდ. მაასის დასავლეთით ავაკურის ტყის აღებას, მაგრამ ეს ჯერ ვერ მოახერხეს. ვერთან საარტილერიო სროლას ხანგამოშვებით განაგრძობდენ, სხვა საყურადღებო რამ არსად მომხდარა.

სხვა ფრონტთაგან ცოტ-ცოტათი მოძრაობა დაეტყო ისევ ბალკანეთისას. აქ გევგელის პოზიციებზე თოფები აახმაურეს და ნელ ნელა სროლას შეუდგენ: სჩანს ბულგარელ გერმანელნი უყურადღებოთ არც ამ ფრონტს სტოვებენ სხვაგან საყურადღებო არაფერი მომხდარა.

* * *

— ბუქარესტიდანვე იუწყებიან, რომ ბულგარეთის შავი ზღვის პირას ციხე-სიმაგრის ვარნაში ავსტრიელებიც ბლომად არიან. ისინი უმეტესად ჯარში არტილერიის აფიცრებათ და საინჟინერო ნაწილში მსახურებენ. ავსტრიიდან ბევრი ჰიდროპლანები და ჰაეროპლანები მოუტანიათ.

ქრონიკა

რუსეთი.

კარლო ჩხეიძის სიტყვა გერმანულზე

გაზეთ „რეჩში“ შემდეგი ცნობაა მოთავსებული. სახელ. სათათბიროს, ერთ-ერთ ბოლონდელ სხდომაზე დეპ. ჩხენკელმა, როცა პავლე მილიუკოვის საწინააღმდეგო სიტყვა წარმოსთქვა აღნიშნა, რომ ჩხეიძის მიერ სახელ. სათათბიროში თებერვალში წარმოთქმული სიტყვა გერმანიის ცენზურამ არ გაუშვა და გაზეთებს ნება არ მისცა, რომ დაებეჭდათ. ამაზე „რეჩი“ შენიშნავს: „ორატორი უთუოდ რაიმე მიზეზით შეცდომაშია შესული ვინაიდან ვიცით, რომ ჩხეიძის სიტყვა, რომელიც დეპეშით იყო გადაცემული, არა თუ დაბეჭდილია „ბერლინერ ტაგებლტში“ და სხვაში, არამედ ამ გაზეთებმა მას ცალკე წერილებიც კი უძღვნეს.

მუშათა ჯგუფისადმი მიმართვა.

ცენტრალურ სამხედრო სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფს პეტროგრადის ფორმაცევტების პროფესიონალურმა კავშირმა განცხადებით მიმართა, რომ ფარმაცევტებს თუმცა ჯარში გაყვანის ვადა გადაუდევს, მაგრამ მათ ერთი აფთიაქიდან მეორეში გადასვლა აუკრძალეს და ამნაირათ ისინი ფაქტიურათ „პრინციპალებს“ სრულიად დაუმორჩილეს, რაც თავის მხრით შრომის პირობებზე მეტათ ცუდად მოქმედებს; ამიტომ ფარმაცევტების პროფესიონალური საზოგადოება მუშათა ჯგუფს თხოვს, რომ მან იშუამდგომლოს „სადაც ჯერ არს“, რათა ფორმაცევტებს ნება მიეცათ ერთი აფთიაქიდან მეორეში თავისუფლად გადასვლა სამუშაოთ

ქართული პრესა.

ბ. „დალი“ „მეგობარში“. ქვეყანას არწმუნებს, რომ ერთადერთი სერიოზულ ეროვნული იდეის მატარებელი პარტია ჩვენ—ფედერალისტები—ვართო სჩანს, ბ. დალი თავის რედაქციის გარეშე ვერაფერს ხედავს, თორემ ანგარიშს გაუწევდა იმ მოვლენას, რომ დღეს ფედერალისტთა პარტია დაშლის პროცესს განიცდის.

და თუ მართლა ფედერალისტთა პარტია ერთადერთი გარკვეული ეროვნული პროგრამით მოევლინა ქართველ ხალხს, ნუთუ ამდენ ხანს ქართველი ხალხის შემოკრება თავის გარშემო ვერ შესძლო? მაგრამ ეს რომ ასე არ არის—ამას თვითონაც კარგათ გრძნობენ. კარგათ გრძნობენ იმასაც, რომ იგინი ასცდენ რეალურ გზას, რომელ გზაზედაც სულ სხვა ახალი ჯგუფი (ეროვნული დემოკრატები) გამოვიდა, რომელსაც უფრო გარკვეული პროგრამა ცხოვრების რეალური მიზნები აქვს დასახული განსახორციელებლათ კარგათ გრძნობენ ჩვენი მოპირდაპირენი იმასაც, რომ ამ ჯგუფის გარშემო თავს იყრის ქართველი ერის დიდი უმრავლესობა და სწორეთ ესაა მიზეზი, რომ მათ მოსვენებას არ აძლევს ამ ჯგუფის გაძლიერება-გაღონიერება.

რომელი საზოგადო საკითხი გადასჭრეს ბ. ფედერალისტებმა ობიექტიურათ, ან რა გააკეთეს ქართველი ერის სასარგებლოთ, ეს ჩვენ არ ვიცით, გარდა იმისა, რომ თავისი ჯგუფური ინტერესებით ამა თუ იმ დაწესებულებაში გაბატონება მოინდომეს.

შეიძლება შავი ქვის სხვის ხელში ჩაგდებას—ეროვნულ საქმის გაკეთებათ სთვლიან, ან და სამეურნეო საზოგადოების დასაარსებლათ 15 თავის თანამოაზრე პირების ჩუმათ მოწვევას და დამფუძნებელ კრებათ გამოცხადებას? ან და კიდევ—ახალქალაქის გასაჩუქრებას? ამაზე ნათქვამია: ჩემი შენ გითხარი—გული მოგიკალით.

რა ვუყოთ მერე, რომ ფედერალისტები, დღეს დღეობით ერთათ ერთი სერიოზულ ეროვნული იდეის მატარებელი პარტიაა, რა ვუყოთ, რომ ეკონომიური და ეროვნული პროგრამების შეთანხმების წყალობით მხოლოდ მას შეუძლია შეაერთოს ქართველი ხალხი, და შეებრძოლოს მას მჩაგვრელ ძალას, ეროვნულ პოლიტიკურ თუ ეკონომიურ ნიადაგზე, ოღონდ თავიანთ საწადელს მიაწიონ და სხვას არას დაგიდევენ. როდესაც ერთ ამ გვარ ჯგუფის კრებაზე ფედერალისტებთან ბრძოლის გეგმას იმუშავებდენ, ერთი დამსწრეთაგანი შეეკითხა მეთაურს, როგორ დავიჯერო, რომ დღეს საქართველოს ფედერალისტებზე უარესი მტერი არ ჰყავდესო. მას მიუგეს: ჯერ ფედერალისტები გვიშლიან ხელს და ისინი უნდა მოვსპოთ და შემდეგ მტრებზე ვიფიქრებთო. აი როგორია სულიერი განწყობილება მათი, რომელნიც დღეს ასე გაშმაგებით გვებრძვიან.

ამის შემდეგ გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ ხსენებული წრეები აღარავითარ საშუალებას აღარ ერიდებიან, ყოველ ნება დართულ და ნება დაურთველ ღონისძიებას მიმართვენ ფედერალისტთა პრესტიჟის დასაცემათ.

ნუ თუ სასაცილო არ არის, რომ ის პირები, რომელნიც

ქვეყანას აურევბენ—ფედერალისტებმა ახალ ქალაქი გასცესო. მათ მთელი საქართველო გაცემული აქვთ, ჩვენ კი იმ ადგილების დათმობაზე გვედავებიან სადაც ქართველები სრულიადაც არ სახლობენ.

ასეთი მდგომარეობა დამყარდა, რომ არც ერთ საზოგადო საკითხს იმას და მახედვით არ სჭრიან როგორც საქმის მდგომარეობა და ობიექტივობა ავალებს, არამედ იმას წინააღმდეგ რასაც ფედერალისტები იტყვიან და ამას გამო რასაკვირველია, ძალიან ხშირათ, სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან.

სწორეთ ახირებული მსჯელობაა: ჩვენ კი არ ვცდილობთ ფედერალისტების სახელის გატეხას და მათი პრესტიჟის დაცემას, არამედ, ქართველი ერის ინტერესებისათვის თავისი შეუფერებელი მოქმედებით თვითონვე სცემენ ძირს თავის პრესტიჟს.

მოწოდება.

„ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებისაგან“ ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემდეგი მოწოდება რომელსაც ვბეჭდავთ ჩვენის მკითხველების საყურადღებოდ. იქნება ყველამ თითო აგური მაინც გაიღოს იმ დიდი საქმის ასაშენებლად, რომლისთვისაც მოგვიწოდებენ სხვა ყოველგვარი განმარტება მეტია.

აუტანელია დღეს ქართველ მწერლის და საზოგადო მოღვაწის მდგომარეობა.

მძიმე ტვირთი აწევს მას ზურგზე

დიდია მისდამი მიმართული მოთხოვნილება.

ბევრი რამ მოეთხოვება, ბევრს მოვითხოვთ, ვავალებთ კიდეც.

და ამავ დროს სულაც არ ვფიქრობთ მისს უზრუნველყოფაზე, ცხოვრების გაუმჯობესობაზე.

არად მიგვაჩნია, რომ ჩვენის ქვეყნის მოამაგენი უდიდესს გაჭირვებას განიცდი ან, არა აქვთ ხეირიანი ბინა, თბილი ლუკმა.

ჩვენი მწერალი, მსახიობი, მგოსანი, მხატვარი, პუბლიცისტი — თითქმის ყველა ამ ტაფაში იწვის...

ჩვენი მათი ბედი არ გვაინტერესებს, მათს გასაჭირს ყურადღებას არ ვაქცევთ.

მხოლოდ მაშინ მოგვაგონდებიან, როცა ცხოვრებასთან ბრძოლით დაქანცულნი ძირს ეცემიან, ვეღარა ეშველებათ-რა.....

მაშინ ძვირფას გვირგვინებით ვამკობთ მათს კუბოს, ვსტირით დანაკარგს, თავში ვიცემთ...

იმას-კი აღარა ვფიქრობთ, რომ სიკვდილის შემდეგ გამოჩენილი ყურადღების მეათედიან მეასედი იყო საკმარისი, რომ უდროოდ დაკარგულს კიდევ დიდხანს ეცოცხლნა, სამშობლოს ნიადაგზე ემოღვაწნა.

ჩვენს ასეთი გულგრილობის ნაყოფი მრავალია. მრავალდ დავკარგეთ ნიჭიერი ახალგაზრდა, ვისაც ბევრის გაკეთება შეეძლო, ცხოვრების პირობები ცოტა უკედ რომ მოსწყობოდათ.

დავკარგეთ ე. ნინოშვილი, ჯორჯაძე, ვაჟა-ფშაველა...

კიდევაც ბევრს დავკარგავთ, თუ დროზე გონს არ მოვედით, თუ სიცოცხლეშივე არ ვისწავლეთ საზოგადო ღვაწლის დაფასება, თუ ამ თავითვე ცხოვრების პირობები არ შევუცვალეთ ჩვენის ქვეყნის მოჭირნახულეთ.

ეს აზრი კარგა ხანია გამოითქვა ქართულს პრესაში. განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა მან ჩვენის დიდებულის მგოსნის ვაჟა-ფშაველას უდროოდ გარდაცვალების შემდეგ.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ თავის წმიდა მოვალეობად ჩასთვალა ანგარიში გაეწია ამ საერთო სურვილისათვის, თავს იდვა აუცილებლივ საჭირო ეროვნულ საქმის გაძღოლა.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოება, რომელსაც მიზნადა აქვს დასახული ჩვენის კულტურის ყოველმხრივი შესწავლა და გამომზეურება, გვერდს ვერ აუქცევს ამ კულტურის ცოცხალ ძალებს იმ მუშაკებს, რომელნიცა ჰქმნიან ჩვენს კულტურას, ემსახურებიან ქართველ ერის წარმატება-აღორძინებას

ამ მიზნით საზოგადოებამ გადასწყვიტა თავის განსვენებულ საპატიო წევრის ვაჟა-ფშაველას სახელობაზე მოღვაწეთა აგარაკის აშენება ს წაღვერში და შესაფერი შუამდგომლობა კიდეც აღძრა.

საქმის საუკეთესოდ მოსაწყობად დაარსდა განსაკუთრებული სააგარაკო კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

დღეს ეს კომისია მოუწოდებს ყველა ქართველს—ყველას, ვისთვისაც კი ძვირფასია ჩვენის სამშობლოს მომავალი კეთილდღეობა:

ვისაც რითი შეგიძლიანთ. ხელი შეუწყოთ აგარაკის აშენებას!

ნუ დაინანებთ თითო ოროლა გროშს წმიდა საქმისათვის!

ვისაც რა შეგეძლოთ, იმითი შემოგვეწიენით!

ყოველი შემოწირულება დიდის მადლობით იქნება მიღებული, ხოლო შემომწირველთა სია—თავისს დროზე გაზეთებში გამოცხადებული.

შემოწირულება მიიღება:

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების კანცელარიაში (სასამართლოს ქუჩა. სახლი № 26, ბინა გ. ჟორდანიასი, ტელეფონი № 17—00) ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, 12—2 საათამდე.

2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში—ივ. ავალიშვილთან.

3. დეპუტატთა საკრებულოში (ბელინსკის ქ. № 2), თამარ დარეჯანიშვილთან

4. ხარფუხის კლუბში—ალ. ლორთქიფანიძესთან.

5. თბილისის ქართულ გაზეთების რედაქციებში.

იმედი გვაქვს რომ რითაც შევიძლიანთ დაგვეხმარებით აგარაკის აშენება მოწყობის საქმეში და რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში პასუხს გვიბოძებთ ამასთანავე დატანებულ ფურცელზე; აგრეთვე თქვენს ნაცნობებსაც გააცნობთ ამ მოწოდების შინაარსს

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ილია მანუჩარისძე ჩიქოვანმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას და ბაქოში თ-დ. დადიანს

გამომცემელ ამხანაგობის „საქართველო“-ს ქუთაისური მეპაიეები, აღჭურვილნი დიადი ეროვნული იდეით, უძღვნიან აღფრთოვანებით სალამს თბილისელ და ბაქოელ თანამოაზრეთ.

თავჯდომარე ი. მ. ჩიქოვანი.

◆ კვირას, 27 მარტს, კლასიკურ გიმნაზიის დარბაზში დღის 12 საათზე გაიმართა სასულიერო კონცერტი. ეს კონცერტი უნდა გამართულიყო 17 მარტს ქალაქის თეატრში, მაგრამ ლოტბარის, მამა რაჟდენ ხუნდაძის შეუძლებლობის გამო გადაიდვა.

◆ ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს წარუდგინა ქალაქის საბჭოს 14 მარტის სხდომის ოქმი, რომელშიც აღნიშნულია სასურსათო ორგანიზაციისათვის მოსაწყობათ სესხის აღების საკითხი და თანაც სთხოვს, რაც შეიძლება დააჩქარონ ამ საქმის მოწესრიგება.

◆ ქუთაისის სასურსათო კომიტეტს განზრახვა აქვს შეიძინოს 3,500 მან. ათას შაბიამანი. ეს შაბიამანი მუქთად დაურიგდება ომში გაწვეულ [illegible] ცთა ოჯახებს.

◆ გუშინ, საგუბერნიო ექიმი [illegible] როვი დ საექიმო [illegible] ვიზარევი ტყვიბულ [illegible] ჭირის გავრცელების მიზეზების გ კვლევად. საგუბერნიო ექიმის თანა ბ ნი ნ შენგელია ეს ორი კვირაა, ოკრიბაში არის და სოფლად გავრც ბულ შავი ჭირის წინააღმდეგ ზომებს ბულობს.

◆ ქუთაისის ქალაქის ახალმა სანი რულმა ექიმმა კ. აშრიანცმა და სანიტ ი. ჩანჩიძემ გუშინ დაათვალიერეს ქა ქის მწვანე ბაზრის ნაწილი და რამდე თევზით მოვაჭრეს გადუყარეს უვარ თევზი. აგრეთვე ქალაქის ლაბარატორი გაგზავნეს საეჭვო სანოვაგის შესამოწ ლად.

◆ 19 მარტს, მესხეთის ქუჩაზე ღ უცნობებმა გასტეხეს ვ. ჰეიშვილის ქანი და წაიღეს 17 მან. ღირებული ქონელი. დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს.

◆ ქუთაისის საგუბერნიო წვრ კრედიტის კომიტეტმა დაამტკიცა შ გი საკრედიტო ამხანაგობები: ხრეს (ოკრიბა), რომელსაც 3000 მან. კრ ტი მიეცემა, ნაგმეროვ ნაჯახოვის (კის მაზ.) 2500 მან კრედიტით, ლე ცუმის (ზუგდ. მაზ.) 2000 მან. კრედ და პახულანის (ზუგდ. მაზ.) 2000 კრედიტით.

◆ ამას წინათ გუბერნატორმა აკ ქუთაისის პოლიციმეისტერს, შეატყ ნოს ხორცის გაძვირების მიზეზი ქა პოლიციმეისტერი ამის შესახებ შ განმარტებას აძლევს გუბერნატორს: თაისში დასაკლავი საქონელი უმთა სათ ჩრდილო კავკასიიდან მოყა-და ამ ჟამათ შეუძლებელი შეიქნა ამ ლიდან საქონლის შემორეკა, ადგი რივი საქონელი კი ვერ ყოფნის ქა სათ რაც შეეხება ადგილობრივ ლ რეთისათვის ხორცის მიწოდებას მ მართე ხორცის სხვილ მოვაჭრეებს, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ ი ლაზარეთისათვის ხორცის მიცემა ხოლ კი შეძლებისა და გვარათ დავეხმარ რომ ლაზარეთს ხორცი ექნესო

◆ ქუთაისის ვიცე გუბერნატორმ ბა დართო ქ. შ. წერა კითხ. გამავ ლებელ საზ. ლანჩხუთის განყოფი გახსნას და შეინახოს თავისი ხარჯი ლანჩხუთში უფასო წიგნ საცავ ს ხველო ადგილობრივ ქალთა სასწა ლის გამგის ეკატერინე მათეს ასულის კაძის პასუხის მგებლობით

◆ 18 მარტს, საოლქო სასამარ გაარჩია საქმე იესე ჯინჭარაძისა, ლიც უჩიოდა ივანე ქუთათელაძეს წამებას, რასაც შედეგათ მოყვა მას თხოვნა ტყის მცველის თანამდებობ სასამართლომ ქუთათელაძე დამნა იცნო და მიუსაჯა ორი კვირით დაპატიმრება და ზარალის აღდგენა

◆ ქუთაისის მცხოვრებს დოლაბ ქალაქის ადგილზე კახიანოურში დ საათზე, ქალაქის თვითმართველობ დაურთველათ, ჩუმათ სახლი ჩაუდგამ შინ სალორიის ადგილების გამგემ შემწემ პოლიციის თანდასწრებით დაუნგრია და წინადადება მისცა ტანოს.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა 50 ნეთით დააჯარიმა ქუთაისის ფქვილ ჭარი იოსებ შაბათას ძე და რაფ სების ძე კაკიტელაშვილი. ფქვილის ბულ ნიხრს ზევით გაყიდვისათვის.

◆ დაჯარიმება. ვიცე გუბერნატორმა დებულო დადგენილების დარღვევისთვის რიმა სასტუმრო „პეტროგრადი-ნიკონი“ მ დრე ივანე თოფურიძე 15 მან. ან ხუთ დატუსაღებ თ, ალექსანდრე პალივი და ჩხობაძე ხუთ-ხუთი მანეთით სასტუმრო „ ლისის“ მოიჯარადრე ისიდორე ჩარხიანი. ან 5 დღით. და სასტუმრო „ვეტლ“ რადრე მელტონ ნოდია 15 მ. ან 5 დღ ტიმრებით.

◆ ქუთაისის ქალაქის სანიტარი დიონ თოფურიძემ უსუფთაობის ოქმი შეუყენა ებრაელების უბანში ელოს ძე კაკიტელაშვილს.

◆ ქუთაისის ვიცე გუბერნატორმა დართო ქ. შ. წ. კით გამ. საზ. განყოფილებას გახსნას უფასო წიგ სამკითხველო ს ონტოფოში (სე მღ ექვ მ ქვანიას პასუხის მგებ და ს. ქოლოუბანში მღ. ტ პასუხის მგებლობით.

◆ როგორც რაჭიდან გუბერნ ატყობინებენ, იქ ამ ჟამად გავრც ლია ხოლერა. მიღებულია საჭირო

ამ ჟამად ქუთაისის ქართულ თეა-
იმართება რუსული ოპერე-
ხალხი დიდძალი ესწრება და კმა-
ლი რჩება.

დაჯარიმება. ქუთაისის ვიცე გუბერნატო-
ტრის შემდეგი მოვაჭრეები: ქუთაისში:
ან მარჩაძე 25 მ. ან ერთი კვირის და-
ებით სავალდებულო დადგენილების, დარ-
თვის, მიტროფანე ვალაძე 25 მან. ან ერთ
დატუსაღებით ნება დაურთველად ღვი-
ჭრობისათვის და შორაპნის მაზ. დ. ზეს-
ნის მოვაჭრე ირაკლი გურული 15 მან.
ღის დატუსაღებით.

სოფლად.

დღეებში ი. გუნცაძეს მოსვლია სა-
ნიფო საბჭოს (დეპუტატის) წევრის
ავისაგან დეპეშა, საიდანაც ვტყო-
ბით, რომ, თანახმად მიწადმო-
ების მინისტრის, მოწერილობისა
ნებულის შაშკოვსკიზე ბ. ფრიდო-
უნდა ჩამოერთვას 30,000 ფუთი
მანი პირველ წამლობისათვის ქუთა-
გუბერნიაში და მეორე წამლობისა-
კი რეკვიზიციას მოახდენენ ფინლან
და სხვა ადგილებში შაბიამნის მო-
ნად.

ეს იმედი გამართლდა, იქნება გაუ-
ს ბედმა ჩვენებურ მევენახეებს თუ
და იძულებულნი იქნებიან ან უშა-
ოთ დარჩენ და ან 50 მ. იყიდონ
ბანდელივით.

დ. აბასთუმანი. აგარაკ აბასთუმ-
ნ გვწერენ, რომ ამ ჟამად იქ დიდი
ოკ ყოფილა, ავადმყოფნი, ტურსაც
შოულობენო. არ იშოვება აგრეთვე
და კვერცხი, რაიც აუცილებელი
ოა ავადმყოფთათვის, იშვიათად
ვება.

ს კალას (სვანეთი) სკოლის მას-
ებელს სილიბისტრო ქაშიბაძეს გაკვე
ს დროს კერძო ინტერესით კონ-
ტინე ქურდიანმა თოფი ესროლა
მაძე უვნებლად გადარჩა. დამნაშავე
ლიამ შეიპყრო

10 მარტს, ს. ეწერის (სენ. მაზრა)
ურებს ელენე ოტ. კუპრაშვილისას
თავს დაესხენ უცნობები წაიღეს
ით 86 მ. 60 კ. და 200 მანეთის
ლი დამნაშავე ჯერ არ აღმოუჩენიათ
ს. სეფიეთის (სენ. მაზ.) მცხოვრებს
ლაპარტყავას გაუტეხეს დუქანი
ილეს 580 მანეთად ღირებული სა-
ლი

ატარა ფელეტონი.

უცნაური შეხვედრა.

ა გაწეწილი, ღაწვ დაკაწრული, მწუ-
ის ნაშეტნაობისაგან ცრემლ-გაშრა-
სახო მიხდილი და ჭანც-გაწყვეტი
ედა ქუთაისის რკინის გზის სად-
დარბაზში განმარტოებით იჯდა და
ე ქვითინებდა.

ად შვილი თუ მოუკლეს ბრძო
ველზე—მეთქი, ვიფიქრე, დამენა-
ლებულოვდი და, როგორც შემეძლო,
ნუგეშა დავუწყე.

— გამხნევდი, დედი, გული გაიმაგრე!
ი ბრძოლაში მოკვდა, გმირულ სი-
ს ეზიარა, მამულის დიდებას ემ
ლა, უკეთესი მომავლის გამოსაჭე-
სისხლი დაღვარა... ის გმირია. გმი-
სათაყვანო სახელს თქვენი დედობ-
გულწყვილობით ნუ შეურაცხჰყოფთ,
ლს ნუ აკადრებთ!

ნეტავი, თქვენის კარგა ყოფნით,
რელაც აგრე იყოს—მიპასუხა მან—
ბედნიერი დედა ვიქნებოდი. ჩემი
ედება სულ სხვაა... ჩემი უბედურე-
სახლეროა და აუწერელია. ჩემი შვი-
არც ცოცხალია და არც მკვდა-
არც დასამარხია და არც ზეზე
ი... რუსეთში უნივერსიტეტ დამ-
ბული, საზღვარგარეთ ნასწავლი
დიდი ქირნახულობით და ჭაპან-
გამოზრდილი შვილი გადამერია,
დაილოცოს მისი სამართალი!
ამ მოხუცებულობის დროს ასე
ლა, სიცოცხლის უკანასკნელი დღეე
გამიჯახირა.

რ იცი, დედი, რა მიზეზით გა-

მა რა მოგახსენო, მე საწყალმა? უც-
დან დაბრუნდა თუ არა, სიტყვა-
და ყოფაქცევაში მაშინვე რაღაც
ურობა, რაღაც ახირებულობა და-
შვილო—მთქი, რომ მივმარ-
გაწყრებოდა. ვინ არის შვი-
შენა გგონია ჩემი დედა ხარო?
ეებმა მშობეს, ძუძუ ნიმფებმა მაწოვეს, აკვანი ნიმფებმა მირწიეს, ნიმფებმა გამომზარდეს და ახლაც ისინი მივლიან და მპატრონობენო. დედაც რომ იყო ჩემი, მაინც არ გიწამებ, ერთობ დებერი ხარო. ძველი ყველაფერი მძაგს, ძველი ყველაფერი უნდა მოვსპო და გავანადგურო. რის მაქნისია პინძური მზე, ჭუჭყიანი მთვარე, გამურული ვარსკვლავები, გახაფხულის სიმახინჯე, ვარდის სიმყრალე, ბულბულის ჩხავილიო.

ცეცხლი, ცეცხლი ყველაფერს! ცეცხლი ალური, შხამური და ჯამბაზურიო და რა ვიცი რაებს არ ამბობდა.

გავიდა ხანი და ერთს დილას ვაჲ იმ დილის მომსწრეს!—ენახეთ, რომ სრულიად —უკაცრავად, შვილო, გამწარებული ვარ და ნურაფერს გამიმტყუნებ—სრულიად ტიტველი იმდგარა და სადღაც წასვლას აპირებს... ვიდრე ჩვენ რასმეს ვეტყოდით, მან დაგვასწრო და შემოგვძახა: აი, თქვენ საცოდავო საჭურისებო, ტანისამოსი ასეთი უნდაო! ეს წუხელ მე ნიმფებმა მომიძღვნეს და დამავალეს დაუხოგავად ამრავლე ხალხიო. თქვენი ძველებური, შხამური ტანისამოსი ამ ალური სითამამისათვის ერთობ ხელშემშლელიაო. ცეცხლი, ცეცხლი ყველაფერს, რაც ძველია, რაც წარსულის ელფერს ატარებსო ..

ჩვენს ყვირილზე მეზობლები მოგროვდენ, მოგვეშველენ, დაგვაჭერინეს და გვირჩიეს: ქუთაისს წაიყვანეთ, იქ ერთი სახელგანთქმული ექიმია, და იმას უჩვენეთო

ჩვენც დავიჯერეთ, ჩამოვიყვანეთ ქუთაისს, მოვნახეთ ის გამოჩენილი ექიმი, გავასინჯეთ ჩვენი ავადმყოფი.. დიდხანს ელაპარაკა, ბევრი აჯიდა და თვითონაც ბევრი ილაპარაკა. ბოლოს წყრომით გამოგვეცხადა: თქვენ, ძველმა ადამიანებმა ასე იცითო, ნასწავლსა და განათლებულ ავალგაზრდას ვერაფერს მიუხვდებით და გიჟადგამოაცხადებთ, თორემ ეს ყმაწვილი გონებითაც და ჯანითაც სრულიად საღიაო ვეღარ მოვითმინე, გაჭირვება ძნელი ყოფილა, და იქვე შევუკურთხე: მამა ზეციერმა ისეთი გონება თქვენ და თქვენიანებს ნუ მოუშალოს—მეთქი.

რა ტყუილად გაუვარდება კაცს სახელი! მერე ქე გავიგეთ, რომ კიტა აბაშიძეს ექიმობისა თურმე არაფერი გაეგება. სპეციალურად მას მხოლოდ შავი ქვის შავი საძრომები ჰქონია შესწავლილი.

— დედი, თქვენს შვილს მადა თუ აქვს ჭამისა, რა საჭმელს უფრო ეტანება?

— ჩვენის ხელითგან —ვაჲ, მის დედას!—არაფერ საჭმელს არ იკარებს. ილანძღება კიდეც. ბინძური გზით გამობარ ქვეყანაში მოსული პური და ისიც ძველებურ თორნეში ძველებურად გამომცხვარი ნიმფების შვილებულს საჭმლად როგორ ეკადრებაო!

— მაშ, არაფერსა სჭამს?

— ერთი ამხანაგი ქალი ჰყავს—ელენე დარიანი. გაგიჟების დღიდგან სულ მასთან არის და როგორღაც ხელს ის უწყობს. იმან იცის, თუ ჩემს უბედურს შვილს რა სიტყვა პასუხიც იამება. ასე—ეუბნება იგი, როცა საჭმელს შესთავაზებს —გიჟური გატაცების ალურ კოცნაში გამომცხვარი პურია, რომელიც დამსხვრევის_მშვენიერების ორგიაზე იყო აღმოცენებულიო. ეს კიდევ შავი კატის ალის ფერი ენაა, მე თვითონ შევწვი ხანტი ზმორების კოცონზე, როცა უკანასკნელი ტანსაფარავი მოვიხსენიო.

— ახლა რას უპირებთ თქვენს შვილს?

— რა ვიცი, მე უბედური დლისამ. მითხრეს გურიაში გიჟების ექიმები არიანო. სამი გვარი დამისახელეს, ჯორბენაძე, თოხაძე და ინგოროყვა. აქ იმიტომ ვიცდი, იქნება ვისმე გურულს გადავეყარო და ნამდვილი რამ გავიგო. თუ რომელიმე მათგანმა ჩემი შვილი მომირჩინა, გაკეთდება და ის არის. ჩვენ ბევრი არაფერი შეგვიძლია, მაგრამ ამბობენ, შავი ქვის საბჭომ კიტა აბაშიძის საექიმოდ აუარებელი ფული გადასდვაო...

— განა კიტაც ავად გახდა?

— დღეს დილით დაბეჯითებით მოგახსენებდენ, რაღაც უცნაურ ავადობის ნიშნები გამოაჩნდაო. მე ვინ დამიჯერებდა, თორემ ჩემი შვილი, რომ გასინჯა, ეს სიკეთე იმ დღესვე ეტყობოდა. მე წაწყმენდილს, ნეტავი არ დამეწყველა!

დარეკეს. მე მატარებლისაკენ გავეშურე—აქ არ შეიძლება შესვლა „ზანიატიაო“. მომაძახა კონდუქტორმა და მუჯლუგუნი წამკრა. ავენთე. მინდოდა ამ თავხედისათვის ერთი კონტრ-მუჯლუგუნი მეც მეთავაზებია, მაგრამ გამომეცვიძა.

შწირა.

დავკარგე

სადმელსა და ქუთაისის შუა ექვსი ვექსილი 2000 მანეთისა და ერთი უბრალო ბარათი 200 მანეთისა. მპოვნელი ამ საბუთებით ვერ ისარგებლებს, ამიტომ ვსთხოვ წარმოადგინოს „სამშობლო“-ს რედაქციაში, რისთვის ც მიიღებს ჯილდოთ 200 მანეთს.

3—1—106 ნიკოლოზ ვლადიმერის ძე თ-დი **იაშვილი.**

სახელმწ. სათათბირო.

21 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს **როძიანკო** შემდეგ **ვარუნ სეკრეტი.**

იხილვენ რკინის გზების საკითხს.

მომხსენებლათ გამოდის **პერცენვიცი.**

გასულ წლის რკინის გზებზე დეფიციტი ყოფილა 120 მილიონი მანეთი.

მომხსენებელი, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ ტრანსპორტების საქმის გამწვავება და მათი საქმის ამდენხანს მოუწესრიგებლობა მიეწერება კონსტრუქციის უვარგისობასო, რასაც, იმედია, მთავრობა საჩქაროდ მიაქცევს ყურადღებას და ამ მომავალ ზაფხულს სათათბირო მოქმედებას გამოიჩენსო. (ტაში მარცხნივ) გზათა მინისტრმა აღნიშნა რომ რეგულიარიზაცია გადაზიდ-გადმოზიდვის საქმისა უკვე დაწყებულია.

რკინის გზები უმეტეს წილად სამხედრო სამრეწველო კომიტეტების სხვა და სხვა საჭირო მასალებისა და ჯართა გადაყვანგადმოყვანას ემსახურებოდა, რომლის უკეთ მოსაწყობათაც ამ ჟამათ დაარსებულია მომწესრიგებელი კომიტეტიო.

ლაშკევიჩმა ილაპარაკა რკინის გზის მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ აუცილებლათ საჭიროა მათი ნივთიერად უზრუნველყოფაო.

სათათბიროს თავმჯდომარე მორიგ საკითხების გარეშე შეეხო საჰოსპიტლო გემის ,,პორტიუგალის'' დაღუპვას. წითელი ჯვრის გემის ,,პორტიუგალის'' დაღუპვა მეტად საყურადღებოა, ვინაიდან დაჭრილთა მომვლელი ზემო, სადაც 120 უიარაღო კაცი იმყოფებოდა. და რომელსაც წითელ ჯვრის სათანადო ნიშანიც ჰქონდა, მტრის ნაღმმა დაღუპა, გადალახა რა ყოველგვარი იურიდიული, ზნეობრივი და კაცთმოყვარეობის საზღვარიო.

გთხოვთ, ბ-ნნო სათათბიროს წევრებო, იქ დაღუპულთა პატივსაცემლად, რომელთაც ღირსეულად შეასრულეს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე მუხლ მოდრეკით პატივი ვსცეთ. ყველამ მუხლი მოიყარა.

„ებრაელის ფიქრი“.

II.

წინ მიდევს ახლათ გამოსული წიგნი „ებრაელები ომის დასაწყისიდან“, სადაც მოთავსებულია ებრაელთა უფლებებისათვის ცნობილ მებრძოლის ბ-ნი მ. მ. უსიშკინის წერილი, რომლითაც ცოტათი ფარდა ეხდება ებრაელ ერის საშინელ კატასტროფას, ეკონომიურათ, პოლიტიკურათ და სულიერათ ამ მსოფლიო ომის დროს. კითხულობ ამ წერილს და უნებურათ თვალზე ცრემლი მოგდის, თვალ წინ გეხატება სამ მილიონ აწიოკებული ებრაელების საშინელი მდგომარეობა: დედა შვილს ეძებს და ვეღარ პოულობს, შვილი მამას ნატრობს, მაგრამ ვეღარ ნახულობს. ორი ათას შვიდასი წლის წინათ ბაბილონის მდინარე ეფრატის ნაპირებზე ისხდენ ჩვენი დატყვევებული მამები და სტიროდენ თავის საყვარელ სამშობლოს, დღეს კი მე-XX-ე საუკუნეში, მდინარე ვოლგას ნაპირებზე სხედან და სტირიან თავის სამშობლო კოვნო, ვილნო, გროდნო—ბელოსტოკს .

კითხულობ და უნებურათ გაგონდება თალმუდში ნახსენები ერთი ეპიზოდი: როცა მეფე ნებუქადნესორმა იერუსალიმის დაპყრობა განიზრახა, ჯერ ისარი გაისროლა, სთქვა, სადაც დაეცემა იმ ქვეყანას გავაოხრებო; ისროლა სამხრეთით, დაეცა იერუსალიმს, ისროლა ჩრდილოეთით, დაეცა იერუსალიმს, აღმოსავლეთითაც პირდაპირ იერუსალიმს დაეცა

სწორეთ ასეა დღესაც ჩვენი საბრალო ერის მდგომარეობა, რომელ მხარეზეც გაიხედავ, ყველგან საშინლათ დაზარალებულ ებრაელებს ნახავთ: ლიტვა, პოლონეთი, ბუკოვინა- სერბეთი—გალიცია და პალესტინა. და განა ამოდენა ძმების თავზარ დამცემი ტრაგედია მოსვენებას მოგცემს, ვისაც კი შენი ერის ან და კაცთა მოყვარეობის ნაპერწკალი კიდევ გულში გიღვივა?

მაგრამ თავის სანუგეშებლათ ფიქრობ: გადაივლის ეს ქარიშხალი, უსამართლობა გაქრება, ძალმომრეობა მოკვდება, პროგრესი თავს აიმაღლებს, თვით უსირცხვილო კაცთა მტერები სხვა ჰანგზე დაიწყებენ ლაპარაკს, ყველა პატარა ერი რუსეთისა, რომლებმაც თავისი საუკეთესო ძალები შესწირეს სამშობლო რუსეთს, დაჯანცვის შემდეგ დაისვენებენ-მეთქი. და ვიდრე ამ ტკბილ ფიქრებსა და ოცნებას გავათავებდი, მივიღე ქ მოსკოვიდან ჩვენი გაზეთები, სადაც ფართოდ და გამორკვევით აღნიშნულია საშინელი ცნობა: ებრაელთა დეპუტატმა ფრიდმანმა აღმოაჩინა ჩუმი ცირკულიარები საპოლიციო დეპარტამენტისა, დავზავნილი გუბერნატორებთან, ვითომც „სიძვირე და წვრილი ფულის უშოვნელობა ებრაელების ბრალი არისო“. სამართლიანათ შენიშნავს დეპ. ფრიდმანი მინისტრათ ნამყოფს ბ-ნ ხვოსტოვს: თქვენ როცა მინისტრობის პორტფელი მიიღეთ, გაიძახოდით: „სიძვირეს უნდა ვეომოო“; თქვენ ეს ვერ მოახერხეთ, რადგან ტეხნიკური საშუალება ხელს არ გიწყობდათ და რომ ხალხში თავი გემართლებინათ, მოსძებნეთ ებრაელობა და დანაშაულობა მათ გადააბრალეთო. განა ეს მტკიცე სიმართლე არ არის? რუსეთში 160 მილიონი მცხოვრებია. არიან ისეთი გუბერნიები, სადაც ებრაელობა სრულებით არ მოსახლეობს, მაგრამ ასეთ ადგილებში უფრო მეტი სიძვირეა, უფრო მეტი გაჭირვებაა. და თუ გინდა კიდეც იყოს რამდენიმე პირი დამნაშავე, განა მთელი ერის დანაშაულობა იქნება?

სახელ-განთქმულ მწერალს ისრაელ ზანგვილს აქვს თავის ნაწერებში სხვათა შორის, ნათქვამი: ერთხელ ცხოველებში გაჩნდა ჭირი, რამაც დიდი ზიანი მიაყენა თურმე მათ. მელიას რჩევით, ლომმა, როგორც ცხოველების მეფემ, მოახდინა საზოგადო კრება იმის გამოსარკვევათ, თუ ვისი მიზეზით, ან ვისი ცოდვით გავრცელდა ეს სნება. გადაწყდა—ყველამ აღიაროს თავის დანაშაულობა დაიწყო ლომმა: მე, ბატონებო, მხოლოდ პატარა ბავშვების მოტაცება და შეჭმა მიყვარსო .

— ეგ რა ცოდვააო—მიაძახეს დამსწრე ცხოველებმა. ეგ შენი წილი საზრდოა...

წამოდგა დათვი: ,,მეც ასე მიყვარსო, ხოლო არც სხვა ცხოველის ხორცს ვიწუნებო''...

— არც ეგ არის ცოდვა—მიაძახა კრებამ. წამოდგა მგელი მე ვიტაცებ ცხვარს, თიკანს, თხასა და კრავსო.

— ეგ ხომ საკუთარი საზრდოაო მიაძახეს. ამგვარათ ყველა უდანაშაულოთ გამოვიდა და კრების მსჯავრს გადაურჩა. ბოლოს წამოდგა ცხვარი: ,,მე, ბატონებო! არც ბავშვების ხორცსა ვსჭამ, არც ცხოველისას. დღეს მხოლოდ კი ეს შემემთხვა: მგზავრმა ქალამანი გაიხადა, შიგ ჩაფენილი თივა ამოიღო, მივედი და ცოტა შევჭამეო''.

სწორეთ შენი ცოდვით გაჩენილა ეს ჭირიო—მიაძახა კრებამ...

ნუთუ ამ საშინელ ომში მომხდარ ამბებს ვინც თვალყურს ადევნებს, მან არ უწყის, თუ რა ამბები მოხდა სათავეში, რომ დანაშაულობის მიზეზი აქა იქ ეძებონ. ან რა შუაშია აქ რუსეთის ებრაელობა? ნუთუ 4 მანეთის ხურდა ფულის აღმოჩენით მთელ ებრაელობას ბრალი უნდა დაედვას?... დიდი ტანჯვით სცხოვრობდა ჩვენი ერი ომამდეც, მაგრამ ამ ჟამათ ხომ მისი ეკონომიური მდგომარეობა ყოვლად აუწერელია. ცნობილ ანტისემიტ ზამისლოვსკის არ ეყო ნახევარ მილიონ ებრაელთა საუკეთესო შვილების სისხლის დანთხევა ბრძოლის ველზე სამშობლო რუსეთისათვის, არ ეყო ათასობით ექიმები ჰოსპიტლები და სხვადასხვა შეწირულება ებრაელების მიერ მის სასარგებლოთ, მისი მოშხამული გული კაცთა სიძულვარით არ გაიწმინდა იმ დროსაც კი, როდესაც თვით ,,კოლოკოლიც'' და ,,ზემშჩინაც'' ერთი პირით აღიარებდენ პალესტინის ებრაელის თავგანწირულებას რუსეთისადმი. როგორც არაბი თავის შავ სახეობას ვერ გამოიცვლის და ვეფხვი დაწინწკლულ ტყავსაო, ისე ზამისლოვსკი და მისი მოაზრეები თავის სიძულვარეს „ინოვერცებისადმი“ ეთქვა განსვენებულმა დეპუტატმა ნისელოვიჩმა ოთხი წლის წინად; და რა საკვირველია თუ იგი ყველაზე თვალს ხუჭავს და თავისებურათ სათათბიროს ტრიბუნიდან საწამლავს ისვრის. სამწუხარო ის არის, რომ რად უნდა იყოს კაცთა მძულვარება გაბატონებული, თორემ ებრაელის ერს ბევრი ტანჯვა გადაუტანია, ბევრი ცილის წამება გ[illegible] და მისი სიმართლე მზესავით ამოშუქებულია.

ჩვენ სრულის დამშვიდებით [illegible], რომ სათათბირო გამოარკვევს [illegible]თხვას, რომელიც შეიტანეს, ჩვენის დეპუტატის ფრიდმანის მეთაურობით, რადიჩევმა, ჩხენკელმა, მილიუკოვმა, ეფრემოვმა, სუხანოვმა, მაკლაკოვმა და სხვებმა ებრაელთადმი ,,უკანონოდ მოპყრობის'' შესახებ.

ჩვენ გვწამს, რომ მთავრობაცა და სათათბიროც კარგათ შეაფასებენ ებრაელთა ერთგულ ქვეშევრდომლობას და ბოლოს მოუღებენ მის დევნასა და ტანჯვას. სათათბიროში უმრავლესობა მემარჯვენეები და ოკტომბრისტები არიან, რომლებიც არაფერს არ ელევიან სხვა ერებისთვის, მაგრამ ებრაელების სიმართლემ ბევრი მათგანიც ჩააფიქრა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ზამისლოვსკის ლაპარაკის შემდეგ მხარს ცოტანი უჭერდენ.

დიახ, დიდია ჩვენი ერის ტანჯვა, მაგრამ დიდია მისი სიმართლეც, დიდია მისი იმედიც იმ კაცთა მოყვარეობის პროგრესისა, რომელიც, თუმცა კუს ნაბიჯით, მაგრამ მიდის და ძლიერდება კაცობრიობაში...

ონის ებრ. რაბინი დავით ბააზოვი.

სია

ქუთაისის მაზრის ხმის მქონე თავად-აზნაურთ, რომელთაც აქვსთ უფლება მიიმონ მონაწილეობა არჩევნებში ამა 1916 წლისა.

პოლკოვნიკი თავ. დავით ო. ნიჟარაძე,
თავ. გ. ი. ერისთავი,
იზმ. ს. მესხი,
თავადი ს. ნ. ლორთქიფანიძე,
თავადი კ. დ. წულუკიძე,
თავადი ა. პ. მიქელაძე,
გენერალი შ. ა. ელიავა,
გენერალი მ. ს. ჩხეიძე,
გენერალი ი. ა. ახვლედიანი,
თავადი სოლომონ გ. მიქელაძე,
კ. ს. ქორქაშვილი,
თავადი ა. ტ. მიქელაძე,
ს. ბ. ჯორჯიკია,
ქ. დ. ლორთქიფანიძე,
თავადი ვლ. ს. მიქელაძე,
ვ. ნ. აბულაძე,
თავადი კ. ს. ერისთავი,
ა. ბ. ჰეჰინაძე,
ვლ. ნ. აბულაძე,
თავადი გ. მ. შერვაშიძე,
თავადი ლ. ბ. მიქელაძე,
ბ. ა. ქუთათელაძე,
პ. მ. ლორთქიფანიძე,
ს. ხ. მიქელაძე,
ვ. ლ. გამრეკლიძე,
ლ. ო. გრიგოლაშვილი,
ს. ა. მაჭავარიანი,
ო. ა. ნემსაძე,
გ. დ. ერისთავი,
ნ. პ. ჯაიანი,
გ. ლ. ქორქაშვილი,
ვ. მ. ლომინაძე,
ა. ს. ნიჟარაძე,
თავადი პ. გ. წულუკიძე,
თავადი ს. გ. ლორთქიფანიძე,
ტ. ა. ასათიანი,
ს. გ. კლდიაშვილი,
თავადი ა. რ. მიქელაძე,
კ. ი. იოსელიანი,
ი. გ. გამრეკლიძე,
თავადი ნ. დ. ერისთავი,
თავადი დ. ბ. ჩხეიძე,
თავადი გ. მ. ჩიჯავაძე,
ი. ს. ერისთავი,
ი. ტ. მაჭავარიანი,
ნ. ბ. იოსელიანი,
თავადი ფ. ბ. ნიჟარაძე,
თავადი ა. კ. ნიჟარაძე,
თავადი ა. გ. ლორთქიფანიძე,
ი. ბ. ავალიანი,
თავადი გ. ი. წულუკიძე,
თავადი ა. ვლ. ლორთქიფანიძე,
თავადი დ. კ. მიქელაძე,
ქ. თ. ჯაფარიძე,
თავადი დ. კ. ნიჟარაძე,
თავადი ა. ყ. ლორთქიფანიძე,
თავადი ე. ტ. ლორთქიფანიძე,
თავადი ი. ბ. ნიჟარაძე,
ვ. ი. პილაძე,
ს. გ. ბოკერია.
თავადი მ. დ. ლორთქიფანიძე,
დ. ნ. აბდუშელიშვილი,
დ. ა. ლორთქიფანიძე,
თავ. პ. ა. თუმანოვი,
თავ. ა. მ. ლორთქიფანიძე,
ა. ს. საყვარელიძე,
თავ. დ. ნ. ლორთქიფანიძე,
კ. ნ. ჩიკვაიძე,
ზ. კ. მაჭავარიანი
გ. ს. ბარათაშვილი,
მ. ლ. ლორთქიფანიძე,
თავ. ნ. მ. ლორთქიფანიძე,
თავ. ბ. დ. წერეთელი,
თავ. ი. მ. ლორთქიფანიძე,
თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე,
ი. გრ. კემულარია,

253

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. კ. გოგობერიძე,
ქვრივი კნ. ს. ნ. მიქელაძისა,
კნ. ე. ს. მიქელაძისა,
კნ. ვ. ო. წულუკიძე,
კნ. ა. ს. თუმანოვისა.
კნ. მ. ი. ნიჟარაძისა,
კნ. ბ. მ. წულუკიძისა,
მ. ს. გოგობერიძისა,
კნ. ს. ი. მიქელაძისა,
კნ. ე. ი. მიქელაძისა,
ტ. ლ. ჰიჰინაძისა,
მ. ო. ერისთვისა,
ე. ბ. მოსიძისა,
მ. ნ. მიქაბერიძისა,
კნ. ან. ლორთქიფანიძისა,
კნ. პ. პ. მიქელაძისა,
კნ. ე. ნ. ერისთვისა,
მ. ს. ჰილაძისა,
კნ. ო. ი. გელოვანისა,
ე. ა. ფალავასი,
კნ. ნ. ე. აგიაშვილისა,
ა. კ. გოგობერიძე,
კნ. ო. დ. ჩიჯავაძისა,
გ. კ. მესხისა.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

იტალიის ასპარეზი.

რომი. 21 მარტი. ჯუჯიკარიის და როვეტოს რაიონში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ასტიკოს და სუგანოს ნაწილში შეტაკებები ხდებოდა კრისტალოსა და ზემო რეინეს რაიონში სურსათ-სანოვაგის გადაზიდვა გრძელდება. რუხკოფთან ჩვენი ჯარის ერთი ნაწილი მტრის ბანაკში შეიჭრა, მტერს დიდი ზარალი მიაყენა: ავსტრიელებს ორი ბლოკჰაუზი წაართვეს ტყვეთ წამოიყვანეს 731 კაცი, მათ რიცხვში ერთი ოფიცერი. ზეუს დასავლეთით გუშინდამ ბრძოლით ავიღეთ ერთი საველე სიმაგრე. ამავე ფრონტზე ჩამოვაგდეთ მტრის ჰაეროპლანი.

ცეპელინების თავდასხმა ინგლისზე.

ოფიციალური ცნობა. კვირას ღამით სამხრეთ-ჩრდილოეთის საგრაფოებს გერმანელების ცეპელინები ესტუმრნენ, რომელთაც დიდი სისწრაფით დაიწყეს ყუმბარების ჩამოგდება. მოკლულია 43 კაცი და დაჭრილია, 66. ცეპელინებს 280 მფეთქავი ყუმბარა ჩამოუგდიათ, დაზიანებულია ბევრი შენობები. მტრის ცეპელინებთან საბრძოლველად ვრედონი აფრინდა გუშინ სალამოთი ორი ცეპელინი თავს დაესხა ინგლისის სანაპიროებს მოკლულია 8 კაცი დაჭრილი 100, დანგრეულია 8 დიდი შენობა.

საფრანგეთში სენტელუასთან ანგლადიოსეზე ჰოჰენცონლერთან რედუტთან ბრძოლის დროს ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ ოფიცერი და ოთხი ჯარის კაცი. გუშინ ერთი ჩვენი ჰაეროპლანი, რომელიც დასაზვერავათ გაფრინდა აღარ დაბრუნდა.

ლონდონი. ჩასძირეს გემი ,,ვაკანომნუმარუ'' მასზე დაიღუპა 105 კაცი.

,,პორტუგალიის'' დაღუპვის გამო

რუსეთის საიმპერატორო მთავრობამ ყველა ნეიტრალ და მოკავშირე სახელმწიფოთ აცნობა, რომ 17 მარტს შავ ზღვაზე საჰოსპიტლო გემ ,,პორტუგალიის'' დაღუპვა, რომელსაც არავითარი იარაღი არ ჰქონდა, და ამასთანავე წითელი ჯვრის ბაირაღი იყო მასზე ამართული ასეთი გემის დაღუპვა მტერმა განზრახ ჩაიდინა, რითაც მან გადალახა ჰააგის კონფერენციის მიერ შემუშავებული კანონები, რომლის ძალითაც საზღვაო ომის წარმოების დროს საჰოსპიტლო გემებს უპირატესობა ენიჭებათ და მათ ვერც ერთი მებრძოლი მხარე ვერ შეეხება.

კიდევ ,,Новое слово"-ს გამო.

სამწუხაროთ. მრავლად მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც ყოველი ახალი სიტყვის გაგონებაზე სულიერ წონასწორობას კარგავენ და თავზარდაცემულნი ლობე-ყორეს ედებიან: გვიშველეთ, ქვეყანა იღუპებაო!

ახალისა და უმჯობესი გზის ძებნას ერთხელვე გატკეპნილი გზით სიარულს ამჯობინებენ და შესაძლო გაუმჯობესებისათვის თავს აღარ იწუხებს!.. ბრმა, რელიგიურ ფანატიკოსობამდი მისული თაყვანისცემა ავტორიტეტისა ასეთი ადამიანების დამახასიათებელი თვისებაა. ესენი თავის პოზიციას ერთხელ და სამუდამოთ კრიტიკის გარეშე აცხადებენ, ხელშეუხებელ ქალწულებათ მიიჩნიათ და წმიდათა-წმიდათ გამოაქვთ, რასაც ჩვეულებრივ მომაკვდავთა ხელი ვერ შეეხება!..

და თუ ვინმემ გაბედა და არსებულის უცოდველობაში რაიმე ეჭვი შეიტანა, ან მისი განახლებისა და გამოცოცხლების სურვილი ვისმეს დაებადა, მაშინვე ატყდება ერთი ვაგ-უშველებელი და ასეთს თავხედს, უმეცარი, ზერელე, სიზმარში მყოფი, ყალბის მქმნელი და ხანდახან „სამშობლოს მოღალატის" სახელიც არ ასცდება!.. ამ დროს კი უცოდველი პაპები, ალბად, კმაყოფილებით იზმორებიან—და თუ ეს ამბავი, მაგალითად, პედაგოგთა ბანაკიდან გამოდის, ერთი მეორეს უდიდესი პედაგოგის მოწმობასაც სთავაზობენ!

„განათლების" 1 ნომერში მოთავსებულია წერილი ფრიად მყვირალა და პრეტენციოზიური სათაურით: „სახალხო მასწავლებლის შენიშვნებით".

წერილის ავტორს, ბ. ქამუშაძეს, თავისი თავი პესტალოცათ, ან კიდევ რომელიმე დიდ პედაგოგათ წარმოუდგენია და თავისებურათ ამკობს ჯერ ბ.ბ. ზედგინიძესა და ჯაფარიძეს—და შემდეგ არც თქვენს მორჩილს მონას სტოვებს უყურადღებოდ იგი იმზომათ გაკადნიერებულა, რომ „ლექციასაც" კი გვიკითხავს იმის შესახებ, თუ რა არის პედაგოგიკის მოვალეობა!

ასეთ ყოყლოჩინობას ზოგიერთ წრეში დიდი გასავალი აქვს და, აი, ბ. ქამუშაძესაც „გაუდის". რა გაეწყობა? „სადაც გავა, წვივის ძვალიც გავათ გავაო", ნათქვამია! ეგაა, რომ ამ გზით შორს ვერ ვინ წავა.

საქმე ისევ ბ. ს. ოცხელის „ნოვო სლოვოს" შეეხება გაზეთ „მეგობრის" 4 №-ში ამ სახელმძღვანელოს შესახებ ჩემი პირადი დაკვირვება და პირადი ცდა გამოვაქვეყნეიქვე ვამბობდი, რომ სრულიადაც აზრათ არ მქონია ჩემი მუშაობის ანგარიში ვისთვისმე წარმედგინა და არც ვისმე დაუვალებია, მაგრამ რადგან საზოგადოებაში უკვე აღიძრა ინტერესი ამ წიგნისადმი, ამიტომ მეც ჩემსას მოგახსენებთ მეთქი—და კიდევაც ავიარე.

ვინც ჩვენებურ „კრიტიკას" იცნობს, თუ კი გვაქვს ასეთი რამ, დამეთანხმება, რომ აქ ხშირათ სხვადასხვა ბანაკის წარმომადგენლებთან ან ვექილებთან გვაქვს საქმე. ამიტომ მოპირდაპირის შრომაში რაიმე ღირსებას კი არა, უფრო ნაკლს ვეძებთ და თუ ასეთი რამ ძვირობს აქ, ვქმნით კიდევაც, საკუთარ ფანტაზიასაც მოვიშველიებთ, მსგავს შემთხვევებში იშვიათად მოხდება, რომ სხვის გულში ხელების ფათურიც არ გავაჩაღოთ! ამას ეძახიან კრიტიკას! ნაკლის აღნიშვნა ან შექმნა სავალდებულოთ არის აღსარებული, ხოლო ამავე დროს რაიმე ღირსებაზე ლაპარაკიც კი აკრძალულია!.. ამით იმის თქმა როდი მინდა, ვითომ ნაკლი გადააფუჩეჩეთ და ნურვინ აღნიშნავსთქო, მაგრამ ჩვენებური „კრიტიკოსები" რომ სწორეთ ნაკლზე მრავალსიტყვაობენ, ხშირათ ენაჰარტალობენ კიდეც, ხოლო ღირსებას აფუჩეჩებენ, ეს კი დასაგმობია!

მაშ, რით აიხსნება ის აშკარა სიყალბე, რომელსაც ბ. ქამუშაძე იჩენს „ნოვოე სლოვოს" მიმართ? ნუთუ მასწავლებელი ქამუშაძე ვერ ხედავს ან არ ხედავს იმ განსხვავებას, რომლითაც მაგ., იწყება „რუსკოე სლოვო" და ნოვო სლოვო" ს. ლექსიური განყოფილება?!

რა უფრო ხალისით შესაგნები და შესათვისებელია ბავშისათვის—ცალკე სიტყვების ზეპირობა და მათგან შეთხზული „Курица тихо спитъ"—ის მსგავსი ფრაზები, თუ მთლიანი, შესაფერი ენით და ზომით დაწერილი მოთხრობა დედაენაზე და შემდეგ ამავე მოთხრობის სურათებისა და თარგმნის საშუალებით უცხო ენაზე გადატანა?!. ეს ისეთი განახლებაა უცხო ენის სწავლების საქმეში, რომ ამას მხოლოდ ავტორიტეტის ბრმა თაყვანისცემისაგან სწორ მხედველობას მოკლებული და თვალებზე ბინტ-გადაკრული ადამიანი ვერ დაინახავს!..

სწორეთ მართლმორწმუნე აღმსარებელივით გამოვსთქვი ჩემი აზრი „ნოვოე სლოვოს" შესახებ ღ ვამბობდი: „8 წ. ბავშს, რომელმაც დედაენაზე წერა და კითხვა შესაფერათ იცოდა, „ნოვო სლოვოთი" დავაწყებინე რუსული ღ ფრიად დამაკმაყოფილებელი ნაყოფიც მოიტანა მეთქი, — მერე რა ნახა ბ. ქამუშაძემ აქ გასატრიზავი, რომ ის თავიდან ფეხებამდი კითხვითი ნიშნად გადაქცეულა? ნუთუ მასწავლებელს ქამუშაძეს არ უნახავს, ან არ გაუგია მაინც, რომ ხშირად 6—7 წლის ბავშები დედაენაზე სწერენ და კითხულობენ კიდეც' სულ სხვაა—სავალდებულოა თუ არა ეს, მაგრამ რომ შესაფერ პირობებში შესაძლებელია, ამას, ვგონებ, ვერავინ უარყოფს!.. და ნუთუ მასწავლებელს არ ესმის, რომ ბავშს, რომელსაც უკვე გადაულახავს ის ეკლიანი გზა, ბგერათა, ან ხმათა შეწყობა რომ ეწოდება, სრულიადაც აღარ გაუჭირდება უცხო ენაზედაც მსგავსი პროცესის დაძლევა? ამ დროს ეს სიძნელე მისთვის აღარც კი არსებობს! სულ სხვაა გამოთქმა უცხო ენისა, რომელ გამოთქმაშიაც თვით მოსკოვში სწავლა დამთავრებული ქართველებიც კი მოიკოჰლებენ!

ბ. ქამუშაძისა და თვით „განათლების" რედაქციის საგულისხმოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ წარსული წლის ენკენისთვიდან „ნოვოე სლოვო" ქუთაისის ზოგიერთ სასწავლებელში უკვე შემოუღიათ (მაგ., კათოლიკეთა სკოლაში, ქალაქის ქალთა სასწავლებელში) და რუსულის სწავლებაში დახელოვნებული მასწავლებლები დაახლოვებით სწორეთ ისეთსავე აზრს გამოსთქვამენ ხსენებულ წიგნის შესახებ, რაც მე აღვიარე ვიცნობ აგრეთვე ერთ მასწავლებელ ქალს, რომელსაც „ნოვოე სლოვო"-ს ლექსიური განყოფილების გასაღებისათვის ჯერ კიდევ ვერ მიუგნია, მაგრამ ანბანი იმდენათ გონივრულ შედგენილათ დაინახა, რომ უყოყმანოთ მიიღო ის და ფრიად კმაყოფილიცაა.

ჩვენ არც ვისმე ვატყუებთ და არც ვისიმე გულის მოგებას ვცდილობთ! ეს აშკარაა, მაგრამ რა უნდა ველაპარაკო იმისთანა ადამიანს, რომელსაც გული იმდენათ ვერ გაუსუფთავებია, რომ რაც ენაზე მოადგება, როშავს და როშავს და უტიფრად კალამსაც ხელს კიდებს!

მერე იცის კი ბ. ქამუშაძემ კალამი რა იარაღია? ეს ის საჭურველია, რომელსაც ადამიანი, ვიდრე ხელს მოკიდებდეს, უნდა ილოცვიდეს: „გული წმინდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა". ქამუშაძე კი გამომდგარა და მამლაყინწურათ ჰყივის: „დ – ის წერილი სიყალბეზეა აშენებული, ტყუილია, ის ოცხელის გულის მოსაგები საშუალებაო, ვეჭვობ პედაგოგმა ოცხელმა ამას ყურადღება მიაქციოსო" და სხვა.

ფიე! ეგაა კრიტიკა! ესაა მწერლობა!! ეგაა თქვენი ადამიანობა ბბ. ქამუშაძევ და „განათლების" რედაქტორო!..

რედაქტორო მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ რაც არ მოეთხოვება ქამუშაძეებს და მის მსგავსებს, ის ყოვლად სამართლიანად და აუცილებლად მოეთხოვება „განათლების" რედაქტორს, რედაქტორს, რომელიც თავის ჟურნალში მსგავს აშმორებულ წერილს ადგილს სთავაზობს!..

გვახსოვს და არ გაგვკვირვებია, არც რაიმე ქვენაგრძნობა შეგვიწამებია და ვერც შევსწამებდით „განათლების" ხელმძღვანელს, როცა ის სრულიად სამართლიანად განსვენებულის გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს ასე თავგამოდებით იცავდა!..

„ნოვო სლოვო"-ს დაცვა კი არც არაოდეს მიკისრია და ეს არც საჭიროა: დრო და მიუდგომელი დაკვირვება თავის უტყუარ მსჯავრს ჩემზე უფრო მკვეთრათ იტყვის. ქამუშაძეებისთანა „პედაგოგები" კი, თუნდაც „წერილები" მასწავლებლის კი არა, „მასწავლებელთა მასწავლებლის" სახელითაც დაასათაურონ, მას ვერაფერს დააკლებენ –და ამიერიდან ვერც ჩემგან ეღირსებიან პასუხს—სადაც და რამდენიც უნდათ იქირდაონ!

დ—ი.

წერილი რედაქციის მიმართ.

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ 1915 წ 21 დეკემბერს ქუთაისის ქართულ გიმნაზიის სასარგებლოთ გამართულ სადამოს ანგარიში:

შემოსავალი.

ფსხმა . . .	383 მ. 64 კ.
ლოტერეა . . .	185 მ.
ბანქო . . .	32 მ.
შემოსასვლელი ბილეთები.	443 მ 10 კ.
ჩაი . . .	47 მ. 75 კ.
პროგრამები . . .	67 მ. 70 კ.
კონფეტი და ყვავილები .	36 მ. 18 კ.
რულეტკა . .	1 მ.
შემოწირულება . .	502 მ
სულ.	1698 მ 37 კ.
გასავალი . . .	729 მ 4 კ.
წმინდა შემოსავალი დარჩა.	969 მ. 33 კ.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოება, რომელმაც ითავა ამ სადამოს მოწყობა, ურიცხვ მადლობას უცხადებს: ქუთაისის ქართულ „დრუჟინას", რომელმაც ქ. ფოთიდან გამოგზავნა თავისი ორკესტრი და წარმომადგენლნი, ბ. მაღვა დადიანს, რომელმაც ითავა ცოცხალ-სურათების მოწყობა და ყველა იმ პირთ, რომელთაც სადამოს გამართვაში დაგვეხმარა ფულით, სანოვაგით, თუ პირადი გარჯით.

ფულით შემომწირველთა სია: ასი მანეთი შემოსწირა აკ. მ. ხოშტარიამ. ოცდა ხუთი მანეთი: თავადმა დ. ო. ნიჟარაძემ, მ. ა. ანანოვმა, ე. ი. სარაჯიშვილისამ, თუთხმეტი მანეთი: ეპ. ანტონიმ, ნ. ბეხოლამ, ცამეტი მანეთი: ეპ. ლეონიდემ, ი. გ. პოტულოვმა, თ დი კ. ნ. აბხაზმა, გ. ტყემალაძემ, ი. ბოკერიამ, ე. მ. ჩიქოვანმა, დ. პ. კიკნაძეშვილმა, ს. ი. ხუნიოვმა, ი. ს. ლუღაძემ, მ. ჭილაძემ, ე. ხელთუფლიშვილის ასულმა. ი. ი. ოგხელმა, დონ-დამიანე საავაშვილმა. შვიდი მანეთი. თ. გ. ერისთავმა, ხუთ-ხუთი მანეთი: ნ პ. ფეოდოროვმა, ა. სავარელიძემ, დ. ნ. ლორთქიფანიძემ,—ნ ა. ფურცელაძემ, ალი გაიდარ-ოუსუპოვმა, ა. ი. ოუდიამ, ლ. ბ. მახარაძემ, ი. დ. ჩოლოყაშვილმა, კ. კ. ტრუსკინმა. თ. ი ზ. მელიქოვმა, პოლ. დობროხოტოვმა, ს. ბოკერიამ, ვ. მგალობლიშვილმა, ა ჩიქოვანმა, ბუტულაშვილმა, ა. ქავთარაძემ, ნ. მხეიძემ, ი. მელიაშვილმა და ხოჯევანოვმა. სამ სამი მანეთი: თ-დმა ტ. გელოვანმა, კნ. ეკ. აბაშიძე-ერისთავისამ, თ. მთავრიშვილმა, დეკ. ცაგარელმა, ფ. კოტოლევსკიმ, ვ ხ მაჭავარიანმა, კორძაიამ, გ. იოსელიანმა, ი. მიქელაძემ, ს. ლორთქიფანიძემ, კნ. თუმანიშვილისამ, ი. ა ბიბერგალმა, ვ. გაგუამ, ვ. ჩიჩიბაიამ და მ ლ. ლორთქიფანიძემ ორი მანეთი: კ. ლორთქიფანიძემ და ი. ბექაიამ.

ქუთაისის ქართულ გიმნა ზის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარე:

ე ნ. ჩიქოვანისა.

პასუხად ბ. ი. კვიცარიძეს.

მე თქვენზე კარგი აზრის ვიყავი და მიტომ მოგეცით მეგობრული რჩევა, ბიბლიოთეკისთვის გაზეთების დაკავება არ შეგფერის მეთქი. ამაზედ პირველ წერილში ერთი ყოფა დამიწყე და ახლა კიდევ ხომ ყურესს სჩადიხართ!

როგორც თქვენი წერილიდან გავიგე „სამშობლოს" ერთ ახლობელი თანამშრომელი ბგონივარ და არა ნამდვ ერთი მკითხველთაგანი, რ თავრი — „სამშობლოდან" ერთი მკითხ სებით ამტკიცებ ბგონივარ ის ვიყავი და მიტომ მოგეცით მეგობრული რ და რაკი არ დაბეჯდეთ, იყავნება თქვენ მაწყრებით, „ბიბლიოთეკის მკითხველ ხარ და სანამ არ ჩამოიხსნი შეურაცხყოფ ლობს, მანამდე ნუღარ მიგიღებთ და ბილეთს დასძენთ: თუ შე ბელ ნიღბიანი, დარჩები, მაშინ მეჭორეთ დაგსახოთ". პირველად უნდა მო სენო შეუდარებელ ჯენტლმენო მოლ რომ საქმე და დავის საგანი ის კი არ მე ნართაულით ვსწერ თუ ნამდვილი სახე არამედ ის რომ ჩემი პირველი ,,მეგობ ნიშნა'' შეურაცხმყოფელი იყო თქვენი ნების თუ არა და აგრეთვე, მართალი იყ სამართლიანი ჩემი ,,შენიშვნა'' თუ არ მეჭაშია აქ ჩემი ნართაული, ან პროფესია, დასახელებასაც თქვენ ჩემგან ითხოვთ? თავის არავითარ ღირებულებას არ წარმოად ნამდვილი თუ არა ობიექტიურ მსჯელობ

მსჯელობა მე არ მაკისრია, როგორ მრავალჯერ განვაცხადე. მე თქვენ ამას არავითარ ანგარიშს არ გიწევთ, რადგან რადის წაკითხვა გეოდნია და გაგებ სუსტი ბრძანებულხართ და თუ ამას ვათ ამ წერილს ვწერ, მხოლოდ იმის რომ ერთხელ და სამუდამოთ განვაცხადო, მე ბიბლიოთეკის ყოველ-დღიური მკით ვარ და არა ის, ვიზედაც თვენ

რაც შეეხება იმ თქვენს მესამედ რომ მეჭორეთ ჩამთვლი, თუ ჩემ სა სახეს და პროფესიას არ გამოვაცხად ასეთი თქვენი ქცევა უფრო კმაყოფი მაგრძნობინებს, რადგან ზოგი ადამიან განებაც ქებით ნაითვლება

ამით ვსპობ თქვენთან ამ საგანზე და ნურავითარ პასუხს ჩემგან ნუ ელით, რეთ რაც გინდათ და რაც შეგფერის.

ერთი მკითხველთაგ

---

*) მიკვირს ბ. კვიცარიძე რათ აწერს წ ბილოთს.—ჟურნალ-გაზეთების კანტორა „ თის" გამგეს? ჩემის აზრით, გამგე ჰქვია, ლიმე საზოგადოებრივ დაწესებულების გამ ხსენებული კანტორა ხომ მარტო მას ეკუ ამნაირად ყველას უფლება ჰქონია თავის უწოდოს—ოჯახის გამგე, დუქნის გამგე და ესეც ერთი საბუთი იქნება, რომ ბ. კვ განდიდების სენით არის შეპყრობილი.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობ

მმ. ქორქოლაძეების მაღაზიაში (მიხეილის ქ. საკ. სა
მიღებულია საუკეთესო საშუალება ,,ოსტიოკოლ
ღვინის გასაწმენდათ ლექისგან.
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ზომიე

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდნენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.

გრანული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ – სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აძლევს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავადმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.

გრანული ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავადმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შაქარაშვილს** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—5 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მძლავრი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია. ახლაც ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენის

(წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე ხრული. ქ. ოდესა